



# შპს „ევროპული სკოლის“ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა

განხილვის სიხშირე: ყოველწლიური

მომზადა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერმა

პოლიტიკა დაწერილია: 2018 წლის სექტემბერში

ბოლო განახლების თარიღი: 2021 წლის ნოემბერი

ბოლოს განახლდა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ

*ს. შიხიძე*

სოფიო ბაზაძე  
დირექტორი



## **ევროპული სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა**

შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) ყველა მოსწავლე უნდა ასრულებდეს წინამდებარე დოკუმენტში ჩამოყალიბებულ პირობებს ევროპულ სკოლაში კომპიუტერების, ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობის გამოყენებისას.

წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით და ასევე სკოლის მიერ ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, აყალიბებს საკომუნიკაციო, საგანმანათლებლო, კვლევითი და კოლაბორაციული სამუშაოს უფლებებსა და მოვალეობებს.

ელექტრონული ხელსაწყოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს პრივილეგიას და არა უფლებას, ხოლო არამართლზომიერმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული პრივილეგიის გაუქმება და სხვა შესაბამისი დისციპლინური შედეგები.

### **მოსწავლეებმა უნდა:**

- გამოიყენონ სკოლის კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობა პატივისცემითა და სიფრთხილით;
- საიდუმლოდ შეინახონ პირადი მონაცემები და სისტემაში შესვლის მონაცემები;
- არ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობა საავტორო უფლებებით დაცული მასალების ჩამოსატვირთად, დუბლირებისთვის, მოდიფიცირებისთვის ან/და გასავრცელებლად (საავტორო უფლებებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- არ გამოიყენონ კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობა არალეგალური კონტენტის გასაზიარებლად ადგილობრივ ქსელში ან ინტერნეტში ;
- არ გამოიყენონ კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობა საკუთარი, კლასელების ან მასწავლებლების ან სხვა პირთა პირადი/პერსონალური მონაცემების (სახელი, დაბადების თარიღი, პირადი ფოტოები და სხვა) საჯაროდ გავრცელებისთვის (მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით).

### **ნებადართული გამოყენება**

მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში ხელმისაწვდომი კომპიუტერებისა და ლეპტოპების გამოყენება მასწავლებლების ან სკოლის პერსონალის მითითებისამებრ, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

### **სისტემაში შესვლის ინფორმაცია**

ყველა მოსწავლეს აქვს სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელები და პაროლები სკოლის ელ-ფოსტასა და ელ-პორტალებთან წვდომისთვის. ელ-ფოსტით ან ელ-პორტალით სარგებლობის დასასრულს, მოსწავლე უნდა გამოვიდეს სისტემიდან.

### **პაროლის საიდუმლოების დაცვა**

მოსწავლეები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი პაროლი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ არ უნდა გადასცეს სისტემაში შესვლის თავისი ინფორმაცია სხვა ადამიანებს და არ უნდა შევიდეს სისტემაში სხვა ადამიანების ნაცვლად. მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ ინფორმირება იმ

შემთხვევაში, თუ შეამჩნევენ, რომ სხვა ადამიანები იყენებენ სხვა პირის მომხმარებლის სახელსა და პაროლს სკოლის კომპიუტერულ სისტემებში წვდომისთვის. სკოლას უფლება აქვს მოახდინოს ნებისმიერი მომხმარებლის სახელის დეაქტივაცია, რომლის უსაფრთხოებაც საფრთხის ქვეშაა.

მოსწავლეს არ შეუძლია სხვა პირის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენება სკოლის ელ-ფოსტასა და ელ-პორტალებთან.

მოსწავლეებს არ შეუძლიათ პაროლების მიღება სხვა მომხმარებლებისგან რაიმე საშუალებებით.

### **კომპიუტერის გამოყენება მხოლოდ სკოლის მიზნებისთვის**

სკოლის კომპიუტერული სისტემები და ქსელი (კომპიუტერი, ინტერნეტთან წვდომა, პროგრამული უზრუნველყოფა, გარე ხელსაწყოები, ფოტოაპარატები, ვიდეო კამერები, პრინტერები, სკანერები და ა.შ.) შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სკოლასთან დაკავშირებული მიზნებისთვის. ეს წესი მოქმედებს გაცვეთილის, შესვენებისა და ლანჩის დროს, გაცვეთილების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ.

### **საავტორო უფლებებით დაცული მასალები**

მოსწავლეებმა არ უნდა გამოიყენონ სკოლის კომპიუტერული სისტემები ან/და ქსელი საავტორო უფლებებით დაცული ციფრული საშუალებების დუბლირებისთვის, გასაზიარებლად ან/და მოდიფიცირებისთვის საავტორო უფლების მფლობელის ან საავტორო უფლების ადმინისტრაციული ორგანიზაციის პირდაპირი წერილობითი ნებართვის ან მასწავლებლის ან სკოლის პერსონალის ნებართვის გარეშე.

### **ქსელში მუშაობის ეტიკეტი და მონაცემთა ხელშეუხებლობა**

მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ქსელში მუშაობის ეტიკეტის საზოგადოდ მიღებული წესები. ეს წესები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- იყავით ზრდილობიანი: არასოდეს გააგზავნოთ და არ წააქეზოთ სხვები შეურაცხმყოფელი გზავნილების გასაგზავნად.
- გამოიყენეთ სათანადო ლექსიკა: გახსოვდეთ, რომ თქვენ წარმოადგენთ სკოლას გლობალურ საჯარო სისტემაში. თქვენ შეიძლება მარტო იმყოფებოდეთ თქვენს ხელსაწყოსთან, მაგრამ რასაც ამბობთ ან აკეთებთ, შეიძლება სხვებმა დაინახონ. არასოდეს შეიგინოთ, არ გამოიყენოთ ვულგარული და სხვა მიუღებელი ლექსიკა. ნებისმიერი სახის უკანონო საქმიანობა აკრძალულია.
- მონაცემთა ხელშეუხებლობა: არავის გაუმხილოთ პირადი/პერსონალური მონაცემები, განსაკუთრებით თქვენი ან სხვა მოსწავლეების სახლის მისამართი ან პირადი ტელეფონის ნომერი.
- პაროლის უსაფრთხოება: არავის გაუმხილოთ თქვენი პაროლი. თუ ფიქრობთ, რომ ვინმესთვის ცნობილი გახდა თქვენი პაროლი, გამოცვალეთ ის და დაუკავშირდით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის გუნდის წევრს.
- ქსელით სარგებლობა: ელ-ფოსტით, ინტერნეტითა და ქსელით სარგებლობაზე შეიძლება ხორციელდებოდეს მონიტორინგი განსაზღვრული პერსონალის მიერ ნებისმიერ დროს. ტარდება რეგულარული აუდიტები არამართლზომიერი და უკანონო სარგებლობის გამოსავლენად.
- შეფერხებები: არ გამოიყენოთ ქსელი იმგვარად, რომ შეაფერხოთ სხვა პირების მიერ მომსახურებით სარგებლობა.

## სისტემის კონფიგურაციები

- მოსწავლეებმა არ უნდა შეცვალონ სკოლის კომპიუტერული სისტემების (როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის) და ქსელის ინსტალაცია და კონფიგურაცია.
- მოსწავლეებს შეუძლიათ კომპიუტერების გადატვირთვა მხოლოდ მასწავლებლების ან სკოლის პერსონალის ნებართვით.
- მოსწავლეებმა არ უნდა მოახდინონ წვდომა სხვა მომხმარებლის ფაილებთან, მათი მოდიფიცირება, წაშლა ან განადგურება.
- მოსწავლეებმა არ უნდა დააინსტალირონ პროგრამული უზრუნველყოფა სკოლის ნებისმიერ კომპიუტერულ ხელსაწყოზე.
- მოსწავლეებმა არ უნდა შეიყვანონ ვირუსები, ტროიანული პროგრამები, „ჭიები“, შეყვანილი მონაცემების დაჭერის პროგრამები სკოლის კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელში.

## ჩატი და სოციალური ქსელები

მოსწავლეებს არ შეუძლიათ სოციალური ქსელების ვებსაიტების ან ჩატის გამოყენება სკოლის ქსელის საშუალებით, გარდა მასწავლებლის მიერ ნებადართული შემთხვევებისა.

## საკუთარი კომპიუტერული მოწყობილობა

- ზოგადი გამოყენება

ევროპული სკოლა VI – XII კლასებში სწავლის პერიოდში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სკოლაში მოიტანონ პერსონალური ლეპტოპი/პლანშეტი საგანმანათლებლო ინსტრუმენტის სახით გამოსაყენებლად. ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენება მასწავლებლის შეხედულებისამებრ მოხდება.

1. მოსწავლეებმა მასწავლებლისგან უნდა აიღონ ნებართვა გაკვეთილის პერიოდში პერსონალური ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენებაზე ან ბიბლიოთეკარისგან - ბიბლიოთეკაში სწავლისას.
2. მოსწავლეების მიერ პერსონალური ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასწავლო მიზნით.
3. მოსწავლეებმა უნდა გამორთონ და გვერდზე გადადონ პერსონალური ლეპტოპი/პლანშეტი მასწავლებლის მოთხოვნის შემთხვევაში.
4. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენებამ შეიძლება ყურადღების გაფანტვა გამოიწვიოს საკლასო ოთახში, განსაკუთრებით აუდიო ჩანაწერის შემთხვევაში. შესაბამისად, აუდიო ჩანაწერების ხმა გათიშული უნდა იყოს, რადგანაც ყურსასმენები არ უნდა იქნას გამოყენებული ინსტრუქტაჟის დროს.
5. ლეპტოპი/პლანშეტი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის.
6. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები არ ეთანხმებიან წინამდებარე პოლიტიკას, მოსწავლეს ეკრძალება საკუთარი ლეპტოპის/პლანშეტის მოტანა ან სხვისი ციფრული მოწყობილობის გამოყენება.
7. პროგრამის ხელმძღვანელები იტოვებენ უფლებას შეაჩერონ მოსწავლის პირადი ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენება სკოლაში.

- ზოგადი გამოყენების შედეგები

მოსწავლეების მიერ ზემოაღნიშნული წესების დარღვევა იწვევს შემდეგ შედეგებს.

1. პირველი დარღვევა - მოხდება ლეპტოპის/პლანშეტის ჩამორთმევა და გადაცემა პროგრამის კოორდინატორის ან კლასის ხელმძღვანელისთვის. მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი და მოსწავლე დაბარებულ იქნებიან შეხვედრაზე პროგრამის კოორდინატორთან ან/და კლასის ხელმძღვანელთან. შეხვედრა არ შეიძლება გაიმართოს დარღვევის დღეს, არამედ ერთი კვირის განმავლობაში. „საგანმანათლებლო“ შეხვედრის შემდეგ, ლეპტოპი/პლანშეტი დაუბრუნდება მოსწავლეს.

2. მეორე დარღვევა - მოხდება ლეპტოპის/პლანშეტის ჩამორთმევა და გადაცემა პროგრამის კოორდინატორის ან კლასის ხელმძღვანელისთვის. მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი დაბარებულ იქნებიან შეხვედრაზე პროგრამის კოორდინატორთან ან/და კლასის ხელმძღვანელთან. შეხვედრა არ შეიძლება გაიმართოს დარღვევის დღეს, არამედ ერთი კვირის განმავლობაში. „საგანმანათლებლო“ შეხვედრის შემდეგ, ლეპტოპი/პლანშეტი დაუბრუნდება მოსწავლეს, მაგრამ მოსწავლეს აეკრძალება საკუთარი ლეპტოპის/პლანშეტის მოტანა სკოლაში ან სხვების გამოყენება.

▪ მოსწავლის მოვალეობა

1. ლეპტოპი/პლანშეტი სახლში უნდა იქნას დატენილი. მოსწავლეებს არ შეუძლიათ მათი ლეპტოპის/პლანშეტის ბატარეების სკოლაში დატენვა.

2. მოსწავლეებმა ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღონ მათი პირადი ლეპტოპის/პლანშეტის მოპარვისგან ან დაზიანებისგან დასაცავად.